

ცვლილებები ძალაშია 11/01/2019 წლიდან

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. საბანკო მომსახურების პირობების მე-2 მუხლის 24-ე პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„24. სს „პროკრედიტ ბანკი“ შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.“

2. საბანკო მომსახურების პირობების მე-20 მუხლის მე-15 და 31-ე პუნქტები შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„15. თუ კლიენტი არის მეწარმე სუბიექტი და მის მიერ ინტერნეტ ბანკინგით უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის თანხა აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ექვივალენტს, მაშინ იგი ვალდებულია გადარიცხვის ოპერაციასთან ერთად ინტერნეტ ბანკინგით გამოგზავნოს ბანკში აღნიშნული გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში გადარიცხვა არ შესრულდება“.

„31. ბანკს უფლება აქვს არ მიიღოს შესასრულებლად კლიენტის ელექტრონული დოკუმენტი იმ შემთხვევაში, თუ:

- ელექტრონული დოკუმენტი არ შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას;
- ელექტრონული დოკუმენტის რომელიმე ველი შეიცავს არასწორ ინფორმაციას;
- კლიენტის მიერ არ იყო ინტერნეტ ბანკინგით გამოგზავნილი უცხოური ვალუტის გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კლიენტის მხრიდან მოხდა წინამდებარე დოკუმენტით ან ბანკის მიერ დადგენილი რომელიმე წესის დარღვევა.

- კლიენტი არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, როდესაც გადარიცხვა სრულდება მესამე პირის მაგივრად/სასარგებლოდ და თანხა აღემატება 1500 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში).